ტექნიკური დავალება
ჩეხური ენის თარჯიმანი სასწავლო ვიზიტისთვის

პროექტი:	**სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება ინკლუზიური და მწვანე პოსტ-კოვიდ აღდგენისთვის**	
სერვისი	ჩეხეთში სასწავლო ტურის ფარგლებში ჩეხურიდან ქართულად და ქართულიდან ჩეხურად თარგმნის სერვისი	
კონტრაქტის ტიპი:	ინდივიდუალური მოკლევადიანი სერვის ხელშეკრულება	
შერჩევის მეთოდი:	საკონკურსო	
კონტრაქტის ხანგრძლივობა:	დაწყების თარიღი: 15 სექტემბერი, 2023	დამთავრების თარიღი: 10 ნოემბერი, 2023

1. სერვისის მიზანი

ტენდერის ფარგლებში, შეირჩევა ჩეხური ენის თარჯიმანი, რომელიც:

- 5 დღიანი სასწავლო ვიზიტის ფარგლებში, გაწევს ზეპირ თანმიმდევრულ თარგმნას ჩეხურიდან ქართულად და ქართულიდან ჩეხურად.
- ორი ონლაინ 1,5 საათიანი ტრენინგის ფარგლებში, სინქრონულად თარგმნის ჩეხურიდან ქართულად.

2. სერვისის ვადები

ონლაინ ვებინარები ჩატარდება 2023 წლის ოქტომბერში. 5 დღიანი სასწავლო ვიზიტი ჩატარდება 2023 წლის ოქტომბრის ბოლოს, ან ნოემბრის დასაწყისში.

3. ანგარიშგება და ზედამხედველობა

კომპანია ანგარიშვალდებულია CENN-ის პროექტის მენეჯერთან.

4. კვალიფიკაცია

- მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება ჩეხურიდან ქართულად და ქართულიდან ჩეხურად თარგმნაში;
- აკადემიური ხარისხი თარგმნის მიმართულებით;
- საერთაშორისო პროექტებზე მუშაობის გამოცდილება;
- ონლაინ შეხვედრების პლატფორმებში (მაგ. Zoom) მუშაობის გამოცდილება;
- კანდიდატს, რომელიც ამჟამად ცხოვრობს ჩეხეთში მიენიჭება უპირატესობა.

5. წარმოსადგენი დოკუმენტები

დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ წარადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:

- CV/რეზიუმე
- მინიმუმ ორი რეკომენდატორის საკონტაქტო ინფორმაცია, ვისთანაც თარჯიმანს ბოლო 2 წლის განმავლობაში უმუშავია
- ფინანსური შემოთაავზება, რომელიც ჩაშლილია დღეებისა და სერვისების მიხედვით. ფინანსურ შემოთავაზებაში გთხოვთ მიუთითოთ მხოლოდ თარგმნის სერვისისა და მომზადების ღირებულება: თარჯიმნის ცხოვრებისა და კვების ხარჯებს დაფარავს CENN.

6. შეფასების კრიტერიუმები:

- რელევანტური სამუშაო გამოცდილება (40 ქულა)
- რელევანტური აკადემიური ხარისხი (30 ქულა)
- ფინანსური შემოთავაზების ეფექტურობა (30 ქულა)

გთხოვთ, შესაბამისი დოკუმეტაცია წარმოადგინოთ შემდეგ ელ-ფოსტის მისამართზე: giorgi.orkodashvili@cenn.org. სათაურის ველში გთხოვთ მიუთითოთ: Czech Language Interpreter.

განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2023 წლის 18 ივლისი.